ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დანართი №5

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შპს**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სახე მისი მისიიდან გამომდინარე იქნება:

☐ პროფესიული კოლეჯი

■ საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში დაწესებულების სურვილია განახორციელოს:

☐ პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

☐ მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

▬ მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

▬ მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

▬ მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

☐ სხვა საგანმანათლებლო პროგრამა (მხოლოდ საზოგადოებრივი კოლეჯის შემთხვევაში);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: **ირინე ფხაკაძე**
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: **ვახტანგ ბოგველიშვილი**
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: **იაზონ დანელია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

II. დაწესებულების მისია

შპს სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯის მისიაა: შესაბამისი ცოდნის და უნარების მქონე სპეციალისტების აღზრდა მუდმივად ცვალებადი შრომის ბაზრის დასაკმაყოფილებლად; გამოუმუშავოს პროფესიულ სტუდენტებს დამოუკიდებლად აზროვნების უნარი, კრიტიკული დამოკიდებულება პროფესიულ დარგში არსებული სიახლებისადმი, პროფესიულ განათლების სფეროში თანამედროვე მიღწევების გააზრება და მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარი. უზრუნველყოს კოლეჯში პროფესიული განვითარებისათვის ისეთი ხელსაყრელი გარემოს შექმნა, რომელიც შემდგომში ხელს შეუწყობს პროფესიული სტუდენტის კარიერულ წარმატებას.

I. სტანდარტები

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შეფასება:

დაწესებულებაში პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს დირექტორი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია **9** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის **7** -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია შპს სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანებებით:
№ 02/01-18; 20.02.2017 (ბუღალტერი III საფეხური, ტუროპერატორი III საფეხური, ინფორმაციული ტექნოლოგი III საფეხური, ფარმაცევტის თანაშემწე V საფეხური, ექთნის თანაშემწე III საფეხური, საბაჟო III საფეხური, ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი) III საფეხური) და **2** - შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე, დამტკიცებული № 02/01-19 21.02.2017 ბრძანებებით: მოდულური პროგრამა ბუღალტერი V საფეხური და მოდულური პროგრამა სადაზღვევო აგენტი IV საფეხური.

საგანმანათლებლო პროგრამები შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად. დაწესებულებაში ერთი პროფესიული კრედიტი შეესაბამება 25 ასტრონომიულ საათს და ერთნაირია ყველა საგანმანათლებლო პროგრამისათვის (განსაზღვრულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესით"). საგნობრივი პროგრამების ხანგრძლივობა, მათი მოცულობის ადეკვატურია, ხოლო მოდულური პროგრამების ხანგრძლივობა შეესაბამება ჩარჩო-დოკუმენტებით განსაზღვრულ ხანგრძლივობას.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თითოეულ საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება; პროფესიული განათლების საფეხური; მისანიჭებელი კვალიფიკაცია; პროგრამის მოცულობა კრედიტებსა და საათებში; პროგრამის ხანგრძლივობა; პროგრამაზე მიღების წინაპირობა; სფეროს აღწერა; პროფესიული პროგრამის მიზანი; სწავლის შედეგი; სწავლის შედეგების რუკა; სასწავლო გეგმა; პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა); პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება; სწავლის მეთოდები; ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ. პროგრამებს თან ერთვის სასწავლო კურსების სილაბუსები. სილაბუსებში მოცემულია სასწავლო კურსის მიზანი, მოცულობა, სწავლის შედეგი, კურსის შინაარსი, პროფესიული სტუდენტის შეფასება, სასწავლო კურსის წინაპირობები, სწავლების მეთოდები, სავალდებულო/დამხმარე ლიტერატურა, ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს აქვთ თანმიმდევრული სტრუქტურა. პროგრამებში მოცემული პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია ზოგადად ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს".

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (შემდგომში მოდულური პროგრამები)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 10 ივლისის ბრძანება №68/ნ-თან. მოდულური პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ (№02/01-19 21.02.2017) დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, კვალიფიკაციის დონე, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა და ხანგრძლივობა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლის შედეგები, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები, ადამიანური რესურსი, სასწავლო გეგმა და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი მეთოდოლოგია.

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ასახულია ინფორმაცია პროგრამებზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით, სსსმ და შშმ პირებისათვის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება #199-ის (2017 წლის 20 მარტი) შესაბამისად.

- *ექსპერტთა ჯგუფის დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ საგნობრივი პროგრამების განხორციელების სურვილი განპირობებულია საგნობრივი პროგრამების ხანგრძლივობით, კვალიფიკაციის შედარებით მოკლე ვადებში მიღების შესაძლებლობით და მოდულური პროგრამების განხორციელებაზე ეტაპობრივი გადასვლით.*

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების გადამოწმების შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა *საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის ხელისშემშლელი რიგი გარემოებები:*

• პროფესიული პროგრამის „ექთნის თანაშემწე" III საფეხური სასწავლო კურსის **„პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება"** სილაბუსში ძირითად ლიტერატურად მითითებულია - თურმანაულის **„სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების პრეპარატების გამოყენების სახელმძღვანელო"**, უკანასკნელი ვერ უზრუნველყოფს სტუდენტისათვის სწავლის შედეგის მისაღწევად აუცილებელ და საკმარის თეორიულ მასალას, შეძენილი ცოდნის საფუძველზე კი სტუდენტი ვერ შეძლებს ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობის ამოცნობას და შესაბამისი პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას გადაუდებელ მდგომარეობათა შემთხვევაში.

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ექთნის თანაშემწე" III საფეხური სწავლის შედეგების თანახმად კურსდამთავრებულს შეუძლია მარტივი მათემატიკური გამოთვლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ჩატარება, თუმცა პროგრამის ფარგლებში არ ხორციელდება შესაბამისი სასწავლო კურსი მინიმალური კრედიტის მოცულობითაც.

- პროფესიულ პროგრამის „ფარმაცევტის თანაშემწე" V საფეხური აღწერილობით ნაწილში სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდებში მითითებულია როლური და სიტუაციური თამაშები, თუმცა აღნიშნული მეთოდი არ არის გამოყენებული პროგრამის არც ერთი სასწავლო კურსის განხორციელების პროცესში, კურსების სილაბუსებში მითითებულია სწავლის მხოლოდ შემდეგი მეთოდები: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი, დემონსტრირების, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ჯგუფური მუშაობა და ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება.

- იმავე პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსის „ორგანული ქიმია " სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდებში არ არის გათვალისწინებული ლაბორატორიული მუშაობა, მაშინ როდესაც სწავლის შედეგების თანახმად სტუდენტმა იცის ტიტრიანი ხსნარების, ბუფერული ხსნარების მომზადება და ა.შ. რაც მიიღწევა ლაბორატორიული მუშაობის მეთოდით. ამასთანავე, არ ხდება გამომუშავებული პრაქტიკული უნარების შეფასება.

- **ინფორმაციული ტექნოლოგის** III საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში არც ერთი სასწავლო კურსის შინაარსში არ ისწავლება საოფისე პროგრამები, მაშინ როდესაც სტუდენტის შეფასების წესი და პროფესიული სტანდარტი ითხოვს საოფისე პროგრამის, კერძოდ პრეზენტაციის (MS Power point-ის) ცოდნას.

- ინფორმაციული ტექნოლოგის პროფესიული სტანდარტი 040153 შემუშავებულია CISCO-ს ქსელური აკადემიის IT Essentials სასწავლო კურსის საფუძველზე, რომელიც ამზადებს მსმენელებს ორი სტანდარტული სერტიფიცირებისათვის: 1. EUCIP საერთო ევროპული პროფესიული სტანდარტი ინფორმაციულ ტექნოლოგიებში (www.eucip.com). 2. CompTIA A+ კომპიუტერული ტექნოლოგიების ინდუსტრიული ასოციაციის სერტიფიკატი (www.comptia.org). რაც თავის მხრივ გულისხმობს სხვადასხვა ოპერაციული სისტემების (android, ios, mac os x, linux) ზოგად ცოდნასაც, ამიტომ სასურველია სასწავლო კურსის: „ოპერაციული სისტემები" შინაარსში შეტანილ იქნას თემები android, ios, mac os x, linux ოპერაციულ სისტემებზე და განხორციელდეს აღნიშნული ოპერაციული სისტემების სწავლება.

- სტუდენტის შეფასების მეთოდები ხშირ შემთხვევაში უნიფიცირებულია, შეფასების ძირითადი კრიტერიუმებია: **აქტიურობა, I და II შუალედური გამოცდა, პრეზენტაცია, დასკვნითი გამოცდა.** არ არის გათვალისწინებული სასწავლო კურსების სპეციფიკა, მაგ: სასწავლო კურსის „ორგანული ქიმია" შეფასების წესი არ ითვალისწინებს გამომუშავებული პრაქტიკული უნარების (მალამოების, ტიტრიანი ხსნარების, ბუფერული ხსნარების მომზადება) შეფასებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

მ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- **„საბაჟო წარმომადგენელის“** პროფესიულ პროგრამაში არცერთ კურსს (გარდა საწარმოო პრაქტიკებისა) არ აქვს განსაზღვრული წინაპირობა, რაც პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე გაუმართლებელია, მაგალითისთვის, სასწავლო კურსის „სასაქონლო დეკლარაციები“ წინაპირობას წარმოადგენს შემდეგი კურსები: „საქონლის გადაადგილება საქართველოს ტერიტორიაზე“, „ინტეგრირებული ტარიფები“, „საბაჟო გადასახდელები“

ამავე პროგრამის ფარგლებში „საბაჟო წარმომადგენელის“ საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება შპს „საბანკო სწავლების ცენტრში“, რომელიც წარმოადგენს კომპანიას რომლის საქმიანობის სფეროა ბუღალტერიის შემსწავლელი კურსების და ტრენინგების ჩატარება, რასაც საბაჟო გაფორმების პროცედურებთან საერთო არ აქვს. შესაბამისად, შეუძლებელია სტუდენტს გამოუმუშავდეს „საბაჟო წარმომადგენელის“ საწარმოო პრაქტიკის სწავლის შედეგებით განსაზღვრული კომპეტენციები.

ამავე პროგრამაში რიგ სასწავლო კურსებში ("დაბეგვრის ადმინისტრირების საფუძვლები", "ინტეგრირებული ტარიფები", "საბაჟო გადასახდელები", "სასაქონლო დეკლარაციები", "საქონლის გადაადგილება საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე") ლიტერატურაში მითითებული ფინანსთა მინისტრის ბრძანებები ძალადაკარგულია (ფინანსთა მინისტრის ბრძანებები N996, N994, N993, N995, N2724) 2012 წლიდან, აუცილებელია მათი განახლება.

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტერი“ (III საფეხური) სასწავლო კურსის „საოფისე კომპიუტერული პროგრამები“ მიზნის თანახმად „სტუდენტმა უნდა შეისწავლოს ძირითადი ცნებები კომპიუტერების შესახებ, მათი აპარატურული და პროგრამული შედგენილობა, კომპიუტერთან დიალოგის საშუალებები (ოპერატიული გარემო Windows XP). რეალურად კი, სასწავლო ლაბორატორიების კომპიუტერებში ჩაწერილია windows 7 ოპერაციული სისტემა. სასურველია სილაბუსის შინაარსი და კომპიუტერული ლაბორატორიების ოპერაციული სისტემები იყოს შესაბამისობაში.

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ექთნის თანაშემწე“ III საფეხური ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკას შემდეგი მიმართულებებით: საწარმოო პრაქტიკა თერაპიული და ქირურგიული პაციენტის მოვლაში, ნევროლოგიური პაციენტის მოვლაში, ბავშვის მოვლაში და ზოგადად პაციენტის მოვლაში, ამასთანავე ისწავლება სასწავლო კურსები: პაციენტის მოვლა, თერაპიული და ქირურგიული პაციენტის მოვლა, პალიატიური მოვლის საქმე, ნევროლოგიური პაციენტის მოვლა, ორსულის/მშობიარეს მოვლა, ინფექციური დაავადებები, პირველადი სამედიცინო დახმარება, აღნიშნული კურსების განსახორციელებლად დაწესებულებას გაფორმებული აქვა ხელშეკრულება შპს თბილისის პედიატრიულ პრივატ კლინიკასთან, (N5, 15.02.2017) 9 თვის ვადით. თუმცა ადგილზე დათვალიერებით გაირკვა, რომ პრივატ კლინიკა წარმოადგენს რა პედიატრიული პროფილის დაწესებულებას, ბავშვთა თერაპიული, ქირურგიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

და რეანიმაციული განყოფილებებით, მას არ გააჩნია ნევროლოგიური, ინფექციური, სამეანო-გინეკოლოგიური სამსახურის, მოზრდილთა თერაპიის, მოზრდილღთა ქირურგიული განყოფილებები/დეპარტამენტები. უკანასკნელი ცხადყოფს, რომ აღნიშნული კლინიკის ბაზაზე სტუდენტებს შეუძლიათ გაიარონ პროგრამით გათვალისწინებული მხოლოდ ის კლინიკური სასწავლო კურსები და ის საწარმოო პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს მხოლოდ პედიატრიული კონტიგენტის პაციენტის მოვლასა და მასზე ზრუნვას, დანარჩენი კლინიკური სასწავლო კურსების პრაქტიკული მეცადინეობების და საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფა ამ უკანასკნელი კლინიკის ბაზაზე ვერ განხორციელდება.

საზოგადოებრივ კოლეჯს სასწავლო ფართში არ გააჩნია კლინიკური ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილი იქნებოდა მულაჟებით, რომელიც განხილულ იქნებოდა კლინიკური ბაზის ალტერნატივად, სადაც უზრუნველყოფილი იქნებოდა შესაბამისი კლინიკური უნარების გამომუშავება, რაც გათვალისწინებულია პროგრამის ზემოთაღნიშნული კურსებით.

<u>სავალდებულოა გაფორმდეს მემორანდუმი შესაბამისი სამსახურების მქონე მრავალპროფილურ კლინიკასთან, კვალიფიციური პრაქტიკის გავლისა და კლინიკური სასწავლო კურსების პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების მიზნით !</u>

ექსპერტების მიერ პრაქტიკის დანარჩენი ობიექტების დათვალიერებით დადგინდა, რომ თითქმის ყველა შემთხვევაში დარღვეულია საწარმოო პრაქტიკების ხელმძღვანელებისა და პრაქტიკის ბაზების კოორდინაცია და ურთიერთთანამშრომლობა, ინტერვიუერების დროს ნათელი გახდა, საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებლები არ იცნობდნენ პროგრამის ხელმძღვანელებს, საწარმოო პრაქტიკის კურსების სილაბუსების ავტორებს და პირიქით. პრაქტიკის ბაზებზე სტუდენტები აწარმოებენ დღიურებს, თუმცა მათი შეფასება არ ხდება. („საბაჟო წარმომადგენელი", „ბუღალტერი" და „ტუროპერატორი").

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ საგნობრივი პროგრამების განხორციელების სურვილი განპირობებულია საგნობრივი პროგრამების ხანგრძლივობის სიმცირით, შედარებით მოკლე ვადებში კვალიფიკაციის მიღების შესაძლებლობით და მოდულური პროგრამების თანდათანობით დანერგვის პოლიტიკით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

<u>ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში– რიგი მოდულები არ არის სრულად ადაპტირებული.</u>

მოდულური პროგრამა ბუღალტერი V საფეხური არჩევითი პროფესიული მოდულის „სამშენებლო ორგანიზაციებში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება“ დამხმარე ჩანაწერებში 3.2 პუნქტი - მოდულის განხორციელების მიდგომები არ არის ადაპტირებული.

მოდულური პროგრამა სადაზღვევო აგენტი IV საფეხური

- ზოგადი სავალდებულო მოდულის „კომუნიკაცია“ დამხმარე ჩანაწერებში 3.6 პუნქტი - მტკიცებულებების შეგროვების მიდგომები არ არის ადაპტირებული.
- ზოგადი სავალდებულო მოდულის „რაოდენობრივი წიგნიერება“ დამხმარე ჩანაწერებში 3.6 პუნქტი - მტკიცებულებების შეგროვების მიდგომები არ არის ადაპტირებული.
- ზოგადი სავალდებულო მოდულის „საინფორმაციო ტექნოლოგიები“ დამხმარე ჩანაწერებში 3.2 პუნქტი - მოდულის განხორციელების მიდგომები არ არის ადაპტირებული (ასევე 3.4 პუნქტი).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	ბუღალტერი	III	ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ ბუღალტერ-მოანგარიშე 020151	30
2.	ტუროპერატორი	III	ტუროპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია- ტურისტული მომსახურების დაჯავშნის სპეციალისტი 020552	60

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

3.	ინფორმაციული ტექნოლოგი	III	ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040153	35
4.	ფარმაცევტის თანაშემწე	V	ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090351	120
5.	ექთნის თანაშემწე	III	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090551	90
6.	საბაჟო წარმომადგენელი მესამე საფეხური	III	საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020353	60
7.	ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი)	III	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020356	60
8.	მოდულური პროგრამა ბუღალტერი	V	ბუღალტერი მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 04107	159
9.	მოდულური პროგრამა სადაზღვევო აგენტი	IV	სადაზღვევო აგენტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 0411	133

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სხვა საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი: (ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა; ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამა; მოსამზადებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა)

№	**პროგრამის დასახელება**	**კრედიტების რაოდენობა**

დასტურდება:

- კოლეჯის დირექტორის ბრძანება №01/21 25.06.2014 წ.
- კოლეჯის დირექტორის ბრძანება №01/28 27.03.2017 წ.- ,,ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ"

სტანდარტი 1.1. დარღვეულია,

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

შეფასება:

დაწესებულებაში არსებობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი (დამტკიცებული დაწესებულების დირექტორის ბრძ. №02/01-20, 21.02.2017.) რომელიც მოიცავს კოლეჯის შესახებ ინფორმაციას: სახელწოდებას, ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, საკონტაქტო ინფორმაციას, ასევე მოიცავს საგანამანათლებლო პროგრამების დასახელებას, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებს, სწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შედეგებს (ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის გაკეთების უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი, ღირებულებები). ***უნდა აღინიშნოს რომ კატალოგში შეტანილია ინფორმაცია მოდულური პროგრამების შესახებ, რომელთა განხორციელების უფლება დაწესებულებას მოპოვებული არ აქვს და უკანასკნელის ელ.ვერსია თავის მხრივ განთავსებულია კოლეჯის ვებ-გვერდზე, თუმცა მითითებული აქვს, რომ აღნიშნული პროგრამების განხორციელებას გეგმავს მომავალში www. SCC.edu.ge***

დასტურდება:

- საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა, კატალოგი (ბრძ.№02/01-20, 21.02.2017.)
- დაწესებულების ვებ-გვერდით. იხ. ბმული: **www. SCC.edu.ge**

სტანდარტი 1.2. - დარღვეულია;

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

შეფასება:

წარმოდგენილი საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები აღწერილია დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით და ძირითადად შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტს. სწავლის შედეგებში დეტალურად არის აღწერილი შემდეგი კომპეტენციები: ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის გაკეთების უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი, ღირებულებები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში დააფიქსირა საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის ხელისშემშლელი რიგი გარემოებები:

- **<u>ბუღალტერის III საფეხურის</u>** საგანმანათლებლო პროფესიულ პროგრამაში ინგლისური ენის სილაბუსის თანახმად კურსდამთავრებულს შეუძლია ინგლისურ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე B1 დონეზე, აღნიშნული არ შეესაბამება პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს, ბუღალტრის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერის თანახმად: კურსდამთავრებულს აქვს უცხოურ ენაზე შედგენილი საბუღალტრო დოკუმენტის შინაარსის გაგების უნარი.

„ფარმაცევტის თანაშემწის" V <u>საფეხურის</u> პროგრამაში სასწავლო კურსის „ლათინური ფარმაცევტული ტერმინოლოგია" სილაბუსში სწავლის შედეგებში ჩანაწერი კურსდამთავრებულს შეუძლია „უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა" არ არის გონივრული და არ შეესაბამება აღნიშნული კურსის მიზანს, შინაარსს და რეალურ სწავლის შედეგებს. ვიზიტის დასრულების შემდეგ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ „არგუმენტირებული პოზიციის ამსახველ დოკუმენტში, აღნიშნული ფაქტი ახსნილია, როგორც ტექნიკური ხარვეზი და შესწორებულია.

- **პროფესიული პროგრამით „ინფორმაციული ტექნოლოგი"** გათვალისწინებული კურსების განხორციელებისთვის აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობის დათვალიერებისას გამოვლინდა საჭირო ინსტრუმენტების არარსებობა, აღმოჩნდა მხოლოდ Jack Maker- და რამოდენიმე მეტრი კაბელი, პროგრამის ხელმძღვანელმა გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ ***ინსტრუმენტები და დიაგნოსტიკური ხელსაწყოები, რომლებიც აუცილებელია სწავლებისთვის მას მოაქვს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან.*** *აღნიშნული ხელს შეუშლის სწავლის შედეგებით გათვალისწინებული კომპეტენციების გამომუშავებას.*

დასტურდება:

- ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (დამტკიც. № 02/01-19; 20.02.2017წ.)
- საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. (დამტკიც № 02/01-18; 20.02.2017)

სტანდარტი 1.3. - დარღვეულია; /არ აკმაყოფილებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება #99/ნ-ით განსაზღვრული „საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" - მუხლი 6/გ-თი გასაზღვრულ მოთხოვნებს: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს/.

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

შეფასება:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესი, რომელიც გაწერილია დაწესებულების დებულებაში და შესაბამის შემთხვევებში იცავდა აღნიშნულ მარეგულირებელ წესებს.

დასტურდება:

- შპს სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯის დებულება (ბრძ. №02/01-21, 2017 წლის 31 მარტი)

სტანდარტი 1.4. - არ არის დარღვეული;

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

შეფასება:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, რაც გაწერილია დებულებაში, გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვა პროფესიულ კოლეჯებთან საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტთა მობილობის შესახებ. დაწესებულება აწარმოებს რეესტრს, ვიზიტის მომენტში დაწესებულებაში რეესტრის მონაცემებით დაფიქსირდა 85 პროფესიული სტუდენტი.

დასტურდება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- შპს სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯის დებულება (ბრძ. №02/01-21, 2017 წლის 31 მარტი)
- პროფესიულ კოლეჯებთან გაფორმებული მემორანდუმებით.

სტანდარტი 1.5. - არ არის დარღვეული;

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

შეფასება:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა და დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სპეციალური ანკეტა-კითხვარები სტუდენტთა, პროფესიული მასწავლებლისა და დამსაქმებლის მიერ პროფესიული პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით გამოკითხვის ჩასატარებლად. თუმცა **გაურკვეველია კონკრეტულად რომელი სტრუქტურული ერთეული არის პასუხისმგებელი აღნიშნული მექანიზმების განხორციელებაზე. დაწესებულებაში არ არის შექმნილი ხარისხის სამსახური, შრომითი ხელშეკრულებების შესწავლით გაირკვა, არც ერთ თანამშრომელს არ ევალება ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის შესრულება, აღნიშნული გარემოება ასევე დაადასტურა კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრებამ.**

მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის პროცესის ფარგლებში კოლეჯში არ შექმნილა შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომელსაც განსაზღვრული ექნებოდა სამუშაო გეგმა, თითოეულ წევრზე გადანაწილებული უფლება-მოვალეობებით, ჩამოთვლილი აქტივობებითა და პასუხისმგებელი პირების მითითებით, რაც ხელს შეუწყობდა კოლეჯში პროფესიული პროგრამებისა და სწავლების ხარისხის ამაღლებას. თუმცა, 2016 წლის 13-14 მაისს შპს სოხუმის საზოგადოებრივ კოლეჯში განხორციელდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან დანერგვისა და კონსულტირების სპეციალისტების ([redacted]) ვიზიტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამების და შესაბამისი მოდულების საგანამანათლებლო დაწესებულებებისათვის ადაპტირების პროცესში დახმარების გაწევა/კონსულტირების მიზნით.

დასტურდება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- შპს სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემისა და დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (დამტკიცებული დაწესებულების დირექტორის ბრძ. №02/01-13, 20.01.2017)
- შპს სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის წერილი 02/005, 13.05.2016 სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითრების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერს [redacted]

სტანდარტი 1.6. - დარღვეულია;

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

შეფასება:

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

დაწესებულება მდებარეობს ქ. თბილისში გურამიშვილის გამზირი N 64, მდებარე შენობის მეხუთე სართულზე, საერთო ფართი შეადგენს **425.6კვ.მ** (გაფორმებულია ხელშეკრულება საიჯარო მფლობელობაზე სააქციო საზოგადოებასთან თბილაბრეშუმი „ცისარტყელა" 2024 წლის 1 მარტამდე)

1	ფაქტობრივი მისამართი	კვ.მ.
1	ქ. თბილისში გურამიშვილის გამზირი N 64,	425.6კვ.მ

დასტურდება:

15

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- საიჯარო ხელშეკრულება № [redacted] 6.04.2012.ცვლილება 13.03.2017 წ. იჯარის წესით სარგებლობის შესახებ; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან რეგისტრაციის ნომერი № [redacted] 02.03.2017.

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

აღწერა: შპს სოხუმის საზოგადოებრივ კოლეჯს გააჩნია სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი.

დასტურდება:

ხელშეკრულებებით, ზედნადებით, ნასყიდობის ხელშეკრულებებით და ნაჩუქრობის დოკუმენტაციით კოლეჯში არსებულ ინვენტარზე, ადგილზე დათვალიერებით.

შეფასება:

დაწესებულება საკუთრებაში ფლობს პროფესიული სგანამანათლებლო პროგრამების განხორციელების საჭირო რესურსს, აღჭურვილია თეორიული და პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო ავეჯითა და ინვენტარით. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის დაწესებულებამ შეცვალა **A** გარემოსთვის გამოყოფილი აუდიტორიები, რის შესახებაც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის განხორციელებამდე წერილობით აცნობა სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორს, 02/-33, 18.07.2017.

კოლეჯს გააჩნია:

კომპიუტერული კლასი (37,2 კვ.მ– სადაც განთავსებულია 15 ორადგილიანი მაგიდა, 26 სკამი, 13 კომპიუტერი, მასწავლებლის მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, დაფა), სადაც ექსპერტთა ვიზიტის მიმდინარეობის დროს დათვალიერებით ***ადგილზე არ აღმოჩნდა სწავლებისთვის საჭირო ინსტრუმენტები და ხელსაწყოები. მასწავლებელმა განაცხადა, რომ ხელსაწყოები მას მოაქვს სწავლების დროს.***

მოდულური პროგრამისთვის სადაზღვევო აგენტი IV – **A გარემო– აუდიტორია 502** – 19,52 კვ.მ, მასში განთავსებულია სტუდენტის 10 ორადგილიანი მაგიდა, 20 სკამი, მასწავლებლის მაგიდა -1, სკამი -1, დაფა -1, მონიტორი-1(ტელევიზორი), ასლგადამღები/სკანერი/პრინტერი -1, 8 გამომთვლელი, ფლეშმეხსიერება -1 (მოცულობა 16მგბ), აუდიოაღჭურვილობა-1.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

მოდულური პროგრამისთვის სადაზღვევო აგენტი IV – **A-B გარემო– აუდიტორია 503** – 18,53 კვ.მ, მასში განთავსებულია სტუდენტის 8 ორადგილიანი მაგიდა, 8 სკამი, მასწავლებლის მაგიდა -1, სკამი -1, დაფა -1, ასლგადამღები/სკანერი/პრინტერი -1, პროექტორი, ფლეშმეხსიერება -1 (მოცულობა 16მგბ). სტუდენტის 8 კომპიუტერი, მასწავლებლის -1 კომპიუტერი.

მოდულური პროგრამისთვის ბუღალტერი V – A გარემო– აუდიტორია 502 – 19,52 კვ.მ, მასში განთავსებულია სტუდენტის 10 ორადგილიანი მაგიდა, 20 სკამი, მასწავლებლის მაგიდა -1, სკამი -1, დაფა -1, მონიტორი-1(ტელევიზორი) ვიზიტის პერიოდში უკანასკნელი არ მუშაობდა, ასლგადამღები/სკანერი/პრინტერი -1, 8 გამომთვლელი, ფლეშმეხსიერება -1 (მოცულობა 16მგბ), აუდიოაღჭურვილობა-1.

მოდულური პროგრამისთვის ბუღალტერი V – A-B გარემო– აუდიტორია 503 – 18,53 კვ.მ, მასში განთავსებულია სტუდენტის 8 ორადგილიანი მაგიდა, 8 სკამი, მასწავლებლის მაგიდა -1, სკამი -1, დაფა -1, ასლგადამღები/სკანერი/პრინტერი -1, პროექტორი, ფლეშმეხსიერება -1 (მოცულობა 16მგბ). სტუდენტის 8 კომპიუტერი, მასწავლებლის -1 კომპიუტერი.

პროფესიული პროგრამის **ექთნის თანაშემწე** III საფეხური სასწავლო კურსის „**პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება**“ შესწავლის მიზნით დაწესებულებას არ გააჩნია შესაბამისი მანეკენი არც რაიმე სხვა საშუალება, რათა პრაქტიკულად შეძლონ სტუდენტებისთვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირება. მიზანშეწონილია შესაბამისი მანეკენის შეძენა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების მიზნით, კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სხვადასხვა დაწესებულებებთან, კერძოდ:

N1 შპს საბანკო სწავლების ცენტრი - 15.02.2017 - 9 თვის ვადით
N2 შპს ფარმანეტი -15.02.2017- 9 თვის ვადით
N3 შპს ჯორჯიან ტური-15.02.2017- 9 თვის ვადით
N4 შპს ეის ელექტრონიქსი-15.02.2017- 9 თვის ვადით
N5 შპს თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა-15.02.2017 -9 თვის ვადით
N6 შპს გუდ თრეველი-15.02.2017- 9 თვის ვადით
N7 სს სადაზღვევო კომპანია უნისონი-15.02.2017 - 5 წლის ვადით
N8 შპს საბანკო სწავლების ცენტრი-15.02.2017 -9 თვის ვადით
N9 შპს ქართულ კანადური საგანმანათლებლო ცენტრი GCEC-15.02.2017- 9 თვის ვადით
N10 სს თბილაბრეშუმი-15.02.2017- 9 თვის ვადით
N11 შპს საბანკო სწავლების ცენტრი 2-15.02.2017 - 5წლის ვადით
N 12 შპს იმუნოგენი-15.02.2017 - 9 თვის ვადით
N13 შპს ჯითი ექსპრეს სერვისი-15.02.2017 - 9 თვის ვადით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დასტურდება:

- პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებებით
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- პრაქტიკის ობიექტის ადგილზე დათვალიერებით;

სტანდარტი 2.1. - არ არის დარღვეული

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

შეფასება:

კოლეჯში საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის შექმნილია აუცილებელი გარემო: უზრუნველყოფილია კოლეჯში ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები მოწესრიგებულია და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, არის აგრეთვე ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები. დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს უსაფრთხოების დაცვის და სამედიცინო დახმარების მექანიზმები. შენობა აღჭურვილია ლიფტით, ლიფტამდე მისასვლელი არ საჭიროებს პანდუსს. დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებელზე) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით და ფაქტობრივი მდგომარეობით;

სტანდარტი 2.2. - არ არის დარღვეული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

შეფასება:

კოლეჯის ბიბლიოთეკაში დაცული წიგნადი ფონდი სულ **3199 ერთეული**, კოლეჯში ინახება წიგნადი ფონდის აღრიცხვის საინვენტარო წიგნი, წიგნადი ფონდი დამუშავებულია ბიბლიოთეკის სარგებლობის წესის შესაბამისად, ლიტერატურას მითითებული აქვს შესაბამისი ფონდის ნომერი. ბიბლიოთეკაში არის კომპიუტერები, ასლგადამღები, ინტერნეტი. რომელიც ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის, თვალსაჩინოდ არის გამოკრული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

ექსპერტებმა შემთხვევითი შერჩევის მეთოდით გადაამოწმეს სილაბუსებში და მოდულებში მითითებული ლიტერატურის არსებობა და დაადგინეს, რომ ყველა სილაბუსში/მოდულში მითითებული სასწავლო სახელმძღვანელო ბიბლიოთეკაში ნამდვილად არის.

დასტურდება:

- ფაქტობრივი მდგომარეობით;
- სასწავლო პროგრამებითა და მოდულში მითითებული ლიტერატურის ბიბლიოთეკის ფონდთან შედარებით;

სტანდარტი 2.3. - არ არის დარღვეული.

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

შეფასება:

პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნის, მასწავლებლების სასწავლო პროცესში ინტეგრირების და სწავლების შედეგზე ორიენტირების მიზნებიდან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

მ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

გამომდინარე, კოლეჯი უზრუნველყოფს საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას საგანამანთლებლო პროცესში და კოლეჯის მართვაში: ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, ვებ-გვერდი,ლოკალური ქსელი.

დასტურდება:

- ფაქტობრივი მდგომარეობით;
- ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა: [redacted]
- ვებ-გვერდი: www.scc.edu.ge (არსებობს დომეინის ხელშეკრულება).

- ***სტანდარტი 2.4. - არ არის დარღვეული.***

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

შეფასება:

კოლეჯში არის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი, რომლითაც განისაზღვრება კოლეჯის საქმიანობის პროცესში შექმნილი თითოეული სახის აქტის, საგანმანათლებლო დოკუმენტების, კორესპონდენციისა და სხვა დოკუმენტაციის დამუშავების, მიღების, გაგზავნის, შენახვის, განადგურებისა და არქივში გადაცემის წესი და ასევე, დადგენილია კოლეჯის ოფიციალური დოკუმენტების - კორესპონდენციისა და სამართლებრივი აქტების ფორმები.

დასტურდება:

- საქმისმწარმოებლის ბრძანების წიგნებით, სარეგისტრაციო ჟურნალებით, სახელობითი წიგნი, სტუდენტთა პირადი საქმეებით, დიპლომების გაცემის მკაცრი აღრიცხვის ჟურნალით და სხვა.
- შპს სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯის ,, -,,საქმისწარმოების ერთიანი წესით" - დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით №01/02-21, 31.03.2017 წ.

სტანდარტი 2.5. - არ არის დარღვეული.

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

შეფასება:

საზოგადოებრივ კოლეჯში არსებობს პირობა პესონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოების ჯამრთელობის დაცვისათვის, დადგენილი წესით ხორციელდება ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრულველყოფა, არსებობს ცეცხლმაქრები, ევაკუაციის გეგმა, უკანასკნელი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, წესრიგი განპირობებულია კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული შინაგანაწესით და დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულებით. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დანიშნულია სამედიცინო სამსახურის უფროსი. კოლეჯს აქვს სამედიცინო ოთახი, ინვენტარითა და მედიკამენტებით, თუმცა უკანასკნელის ფართი საკმაოდ მცირეა, რაც ხელს შეუშლის პერსონალს საჭიროების შემთხვევებში ადექვატური დახმარების აღმოსაჩენად მოქმედებისათვის, შესაბამისად სასურველია მისი განთავსება ალტერნატიულ ფართში, რის შესაძლებლობასაც დაკავებული შენობის საერთო გეგმა იძლევა.

დასტურდება:

- ქონების, მატერიალური რესურსების მართვის, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულებით (№02/01-10, 17.01.2017)
- სამედიცინო სამსახურის დებულებით (№02/01-10, 17.01.2017);
- ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- ევაკუაციის გეგმით.

სტანდარტი 2.6. - არ არის დარღვეული.

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

კოლეჯს აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის. გადაადგილების უნარშეზღუდულ პირებს კოლეჯის შენობაში თავისუფლად შეუძლიათ გადაადგილება (აუდიტორიებში, ბიბლიოთეკაში, სველ წერტილში და კომპიუტერულ ცენტში.

დასტურდება: კოლეჯის მატერიალური რესურსით (აუდიტორიები, ინვენტარი, კომპიუტერები, ბიბლიოთეკა და ა.შ.), ადგილზე დათვალიერებით.

სტანდარტი 2.7. - არ არის დარღვეული.

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

შეფასება:

კოლეჯს გააჩნია საკუთარი ვებ-გვერდის, ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ვებ-გვერდის განახლება ხდება საჭიროების, ან ახალი ინფორმაციის, სიახლეების შემთხვევაში. ვებ-გვერდის განახლებას ახორციელებს კოლეჯის IT-ის სპეციალისტი. ვებ–გვერდი არის ქართულენოვანი. ვებ-გვერდზე განთავსებულია როგორც საკონტაქტო, ასევე სხვა ინფორმაცია. ინფორმაციის ბოლო განახლების თარიღია 22.05.2017. შედეგად, **ვებ-გვერდზე წინასწარ დადებულია ინფორმაცია მოდულური პროგრამების შესახებ, რომელთა განხორციელების უფლება დაწესებულებას არ აქვს მოპოვებული,** დაწესებულებას უფლება აქვს კატალოგში ასახოს მხოლოდ ის პროგრამები, რომლებზეც მიღებული აქვს განხორციელების უფლება ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, სხვა პროგრამები, რომელთა განხორციელებას აპირებს დაწესებულება და უფლება ჯერ არ მოუპოვებია, კატალოგში არ უნდა აისახოს, თუმცა, საზოგადოებრივი კოლეჯი უთითებს, რომ ამ უკანასკნელთა განხორციელებას გეგმავს მომავალში.

დასტურდება:

- კოლეჯის ვებ-გვერდის დათვალიერებით.
- დომეინით სარგებლობის ხელშეკრულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

სტანდარტი 2.8. - არ არის დარღვეული.

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

შეფასება:

კოლეჯში შემუშავებულია განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი გეგმა, სადაც ასახულია სტრატეგიული განვითარების მიმართულებები და მიზნები, განსახორციელებელი ღონისძიებები, რომელიც მიმართულია კოლეჯში სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ექვსწლიან გეგმაში გაწერილი სტრატეგიული მიზნები თავსებადია მისიასთან. ერთწლიანი სამოქმედო გეგმები გამომდინარეობს ექვსწლიანი გეგმიდან და ზოგადად ემსახურება სტრატეგიული მიზნების მიღწევას. ერთწლიანი გეგმა გაწერილია დეტალურად და მოიცავს ცალკეულ აქტივობებს, მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებსა და სტრუქტურულ ერთეულებს. დაწესებულება ახდენს წლიური გეგმის შესრულების მონიტორინგს და შესაბამისად წარმოადგინა ყოველწლიური ანგარიშები.

დასტურდება:

- კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი გეგმით, დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N02/01-14, 23.01.2017
- შესრულების ანგარიშებით;

სტანდარტი 2.9. - არ არის დარღვეული.

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შეფასება:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებლის, ადმინისტრაციული, დამხმარე და მომსახურე პერსონალის შერჩევის წესი, რითაც შინაგანაწესთან ერთად განსაზღვრულია თანამდებობრივი მოვალეობები და შესაბამისი მოთხოვნები; დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები განხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით, მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, თუმცა დაფიქსირდა შემდეგი გარემოებები:

- ექთნის თანაშემწის (III საფეხური) პროფესიულ პროგრამაში ბიოლოგიის დოქტორი ასწავლის შემდეგ სასწავლო კურსებს: ბოტანიკა, სამედიცინო ბიოლოგია, ადამიანის ანატომია, ფიზიოლოგია, მიკრობიოლოგია, იმუნოლოგია, ეპიდემიოლოგია, ინფექციური დაავადებები, სამედიცინო ეთიკა და დეონტოლოგია. ჩამოთვლილთაგან უკანასკნელი ორი კურსის: **ინფექციური დაავადებები, სამედიცინო ეთიკა და დეონტოლოგია განმახორციელებელ პირს უნდა ჰქონდეს სამედიცინო განათლება!..**
- ექთნის თანაშემწის (III საფეხური) პროფესიულ პროგრამაში კვალიფიკაციით პედიატრი არის შემდეგი სასწავლო კურსების განმახორციელებელი: ორსულის/მშობიარეს მოვლა, პირველადი გადაუდებელი დახმარება, პაციენტის მოვლა, თერაპიული და ქირურგიული პაციენტის მოვლა, პალიატიური მოვლის საქმე, ბავშვთა და მოზარდთა ასაკის პაციენტის მოვლა, ნევროლოგიური პაციენტის მოვლა, **საწარმოო პრაქტიკა** ნევროლოგიური პაციენტის მოვლაში, **საწარმოო პრაქტიკა** ბავშვის მოვლაში, **საწარმოო პრაქტიკა** თერაპიული და ქირურგიული პაციენტის მოვლაში. **პედიატრის კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება არ შეესაბამება** ორსულის/მშობიარის, ქირურგიული პაციენტის მოვლის, პალიატიური მოვლის და **საწარმოო პრაქტიკების ჩასატარებლად საჭირო კომპეტენციას** და კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, შესაბამისად. აუცილებელია აღნიშნული სასწავლო კურსები (პრაქტიკის ჩათვლით) განხორციელებულ იქნას შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის მიერ.
- პროფესიული პროგრამის **ინფორმაციული ტექნოლოგის** (III საფეხური) განხორციელების დროს გასათვალისწინებელია სტანდარტის დამატებითი მოთხოვნები, რომლის თანახმად ინფორმაციული ტექნოლოგი III პროგრამების განმახორციელებელი პედაგოგები სასურველია იყვნენ CISCO-ს აკადემიის ინსტრუქტორები.

დასტურდება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

• კოლეჯში პერსონალის თანამდებობებზე დანიშვნის ბრძანებებით, პერსონალის პირად საქმეებში არსებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით.
• პროფესიული განათლების მასწავლებლის, ადმინისტრაციული, დამხმარე და მომსახურე პერსონალის შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ" - დამტკიცებულია: კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N01/18 28.02.2017 წ.

სტანდარტი 3.1. - დარღვეულია.

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

შეფასება:

თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება განსაზღვრული კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალისა და პროფესიული მასწავლებლების მიერ. კოლეჯში ბრძანებით დადგენილი „პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესის " საფუძველზე შესაძლებელია დადგინდეს პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან. **დაწესებულების რეესტრის მიხედვით, ვიზიტის მომენტისთვის პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა შეადგენს 26 -ს.**

რეკომენდაციები:

- ვინაიდან ზემოთ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამებში ხშირად დასაქმებულია აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალი, რომელთა პრაქტიკული გამოცდილება სრულად არ პასუხობს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, სასურველია, გაიმიჯნოს თეორიული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობები და ამ უკანასკნელთა განმახორციელებლებად (საწარმოო პრაქტიკის ჩათვლით) განისაზღვროს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, მაგალითად, საწარმოო პრაქტიკა ქირურგიული პაციენტის ან ორსული/მშობიარის მოვლაში განახორციელოს სათანადო გამოცდილების მქონე ექთანმა შესაბამისი პროფილის განყოფილებაში, რათა უზრუნველყოფილ იქნას კვალიფიციური ცოდნის მიღება, პრაქტიკული უნარების გამომუშავება და კანონმდებლობის მოთხოვნათა დაკმაყოფილება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

მოდულური საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროგრამებში ჩართული პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა
1	*ბულალტერი*	*10*
2	*სადაზღვევო აგენტი*	*10*

დასტურდება:

- ჩატარებული გასაუბრების შედეგებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეებით, მათთან დადებული ხელშეკრულებით და მომსახურეობის ხელშეკრულებით.
- საინფორმაციო ბაზის გადამოწმებით -Evet.emis.ge

სტანდარტი 3.2. - დარღვეულია ვინაიდან ვერ აკმაყოფილებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება #99/ნ-ით განსაზღვრული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" - მუხლით 8/ბ -ით განსაზღვრულ მოთხოვნებს, კერძოდ ჩანაწერს; „საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ".

3.3 დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის თანაფარდობა

შეფასება:

შპს სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯი გეგმავს 170 პროფესიული სტუდენტის მიღებას. დირექტორის ბრძანებით გასაუბრების საფუძველზე შერჩეულია **26** პროფესიული განათლების მასწავლებელი და მათთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები.

ვიზიტის მომენტში დაწესებულებაში რეესტრის მონაცემებით პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობაა - 85, მასწავლებლების - 27, მათ შორის ერთი ახალი პედაგოგის დამატება მოხდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, აღნიშნული ასახულია რეესტრში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შესაბამისად თანაფარდობაა: 3/1;

№	პროგრამის დასახელება	სტუდენტების რაოდენობა	პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა
1.	ბუღალტერი - III	1	6
2.	ტურიზმის ოპერატორი - III	2	5
3.	ინფორმაციული ტექნოლოგი - III	0	4
4.	ფარმაცევტის თანაშემწე - V	45	5
5.	ექთნის თანაშემწე - III	8	4
6.	საბაჟო წარმომადგენელი - III	9	7
7.	ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი) - III	7	6
8.	**მოდულური პროგრამა ბუღალტერი**	-	10
9.	**მოდულური პროგრამა სადაზღვევო აგენტი**	-	10

3.4 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

შეფასება:

კოლეჯში პერსონალი შერჩეულია „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 12[1] მუხლის, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული"პროფესიული მასწავლებლის შერჩევის წესის" შესაბამისად ღია, თანასწორი და სამართლიანი კონკურენციის პირობებში ჩატარებული გასაუბრების გზით და პირადი საქმის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე.

დასტურდება:

- პირადი საქმის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით,
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით კოლეჯში გასაუბრების საფუძველზე შერჩეულ პროფესიულ მასწავლებლებთან ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ.**scc.edu.ge**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- შერჩევის წესით“ - დამტკიცებულია: კოლეჯის დირექტორის ბრძ. N01/18 28.02.2017.
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეებით;
- პერსონალის დანიშვნის ბრძანებებით;
- შრომითი ხელშეკრულებებით;

სტანდარტი 3.4. - არ არის დარღვეული;

IV. თანდართული დოკუმენტაცია

თბილისი
(შევსების ადგილი)

5. 09.2017.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.